ვალერი სილოგავა
(1945-2011)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1963 წელს დაამთავრა ფოთის მე-9 ვაჟთა სკოლა, 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სადაც სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა დიდი ინტერესი მეცნიერული კვლევისადმი.

1969-72 წლებში იყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი, 1970 წლიდან ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი. მუშაობდა ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის მიმართულებით.

1990 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 2005 წლიდან ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და საარქივო ფონდების განყოფილების ხელმძღვანელი. 2006 წლიდან არჩეულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად, პარალელურად იყო ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ახალქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. მიჰყავდა სალექციო კურსები საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიისა და ისტორიოგრაფიის მიმართულებით.

პროფესორი ვალერი სილოგავა 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20-მდე მონოგრაფიის ავტორია. მონაწილეობდა ძველი წერილობითი ძეგლების შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილ არაერთ რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყნის სოლიდურ გამოცემებში რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი ძირითადი სამეცნიერო ინტერესი იყო ქართული წყაროთმცოდნეობის, ეპიგრაფიკული ძეგლების, ქართული დიპლომატიკისა და სიგელთმცოდნეობის პრობლემების, ასევე ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კვლევა. ყველა მიმართულებით მკვლევარმა დატოვა მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა, რომელსაც წლების მანძილზე აგროვებდა, აღწერდა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოქონდა, რითაც მყარი საფუძველი შეუქმნა ამ ძეგლების შემდგომი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით კვლევას. უზარმაზარია მისი ღვაწლი ქართული წარწერების კორპუსის, ქართული ისტორიული საბუთების, ივირონის აქტების გამოცემაში; დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერების, სვანეთისა და სამხრეთ საქართველოს წერილობითი ძეგლების, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერების, ბეთანიის წარწერების, კორიდეთის საბუთების, ეკლესიის ისტორიის,

ცალკეული ეპარქიებისა და სასულიერო პირების, ქართული ოთხთავების და სხვა შესწავლაში. აღსანიშნავია მისი უზარმაზარი წვლილი თურქეთის საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვა ქართული სავანეების სიძველეთა შესწავლისადმი.

პროფესორ ვალერი სილოგავას თანაავტორობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სალექციო კურსი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. იყო საკანდიდატო დისერტაციებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, არაერთი მეცნიერ-მკვლევრის დამკვალიანებელი და მეგზური ისტორიულ მეცნიერებაში.

პროფესორმა ვალერი სილოგავამ თავისი სამეცნიერო მემკვიდრეობით, ინტელექტით, პროფესიონალიზმით, პიროვნული თვისებებითა და დამსახურებული ავტორიტეტით მარადჟამს დაიმკვიდრა ადგილი ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში.

Valeri Silogava
(1945-2011)

Doctor of Philosophy in History, Professor

Professor Silogava left Poti Secondary School for Boys in 1963. In 1969, he graduated from Tbilisi State University, Faculty of History. Even in his student years, he manifested great interest in scientific research.

In 1969-1972, Dr. Silogava was a graduate student at K. Kekelidze Institute of Manuscripts; in 1970 he was employed at the National Institute of Manuscripts. His research sphere included Epigraphic, Paleography and Diplomatics.

From 1990, Prof. Silogava was a chief science officer at the Georgia National Museum and the head of the chair of History of Georgia at Tbilisi State University Akhaltsike branch and the head of the Department of the Archive Funds. In 2006, he was elected as an associate-professor of the Faculty of Humanities at Iv. Javakhishvili Tbilisi State University; simultaneously he was a full professor of Akhaltsikhe Educational University, professor of Akhalkalaki Educational Institution and a professor at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. He delivered courses in History of Georgia, History of Georgian Church, Source Study, Paleography and Historiography.

Professor Valeri Silogava is the author of more than 300 scientific papers, almost 20 of which are monographs. Dr. Silogava was a participant of numerous local and international symposiums on the ancient manuscripts. His works are published in a number of well-known Russian, French, German, English and

Turkish publications. His chief scientific interest was studying Georgian sources, epigraphic monuments, Georgian diplomatics, deeds and credentials and ancient Georgian historical texts. The scholar has left a rich and diverse legacy which he had been collecting, describing and putting into scientific circulation for many years, by which he laid the foundation of historical and source research. Significant is his contribution to the publication of the corps of the Georgian inscriptions, Georgian historical documents and Iviron's acts. Prof. Silogava played an important role in studying Georgian lapidary inscriptions, ancient inscriptions of Betanya and Bolnisi Monasteries, Korideti documents, history of church, of individual eparchies and clergy, Georgian Four Gospels, etc. His enormous contribution to studying antiquities of Turkish Georgia and other Georgian monasteries located abroad deserves a special mention.

Prof. Silogava is a co-author of an educational course in History of Georgia for students of higher educational institutions. He was a scientific advisor of numerous Master's degree these and many dissertations and the guide of many scientists and scholars into the science of History.

Professor Valeri Silogava, with his rich scientific heritage, intellect, professionalism, personal qualities and well-earned recognition has left an indelible mark on our history.